საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 364

20/2 წ. "06" 05

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამისთვის - ,,აქტიური სწავლება ბიოლოგიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე" (2 კრედიტი) - აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 6 სექტემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის №1102 ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დებულების" მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამას - ,,აქტიური სწავლება ბიოლოგიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურზე" (2 კრედიტი)- მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 6 სექტემბრის №11 სხდომის ოქმის მე-19 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თეონა კუპატაძე

მდივანი
ზაქარია შველიძე